საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/43 " 1 " ივნისი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ა. ძაბუნიძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2021 წლის 19 მარტს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. 2021 წლის 23 მარტს მიღებულ იქნა მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ამირან ძაბუნიძის განცხადება.

2021 წლის 1 ივნისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელდა კონსულტაციები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებთან. შეხვედრას ესწრებოდა 12 მოსამართლე, არ ესწრებოდნენ: მოსამართლე მაკა გორგოძე და თავად განმცხადებელი. მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურას და დაახასიათეს იგი როგორც კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლე. მოსამართლეებმა აღნიშნეს ა. ძაბუნიძის მენეჯერული უნარ-ჩვევებიც, რომელიც მან როგორც თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა უკვე გამოავლინა სააპელაციო სასამართლოში და იგი დაახასიათეს როგორც კოლეგებთან კორექტული და ღია ურთიერთობების მქონე.

ამირან ძაბუნიძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება, მათ შორის როგორც უკვე აღინიშნა მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც: იგი იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, ამასთან, იგი 2020 წლის 30 დეკემბრიდან ასრულებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამირან ძაბუნიძე დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ 2021 წლის 1 ივნისიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე